შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№42 (9.656)

8-15 ნოემბერი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მოადგილესთან - სოლომონ ღორაშვილთან ერთად ახლად დაგებული გზის მონაკვეთი მოინახულა

დედოფლისწყაროში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება. სამრეკლოდან ქედების მიმართულებით 5-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელდა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინფორმაციით, გზის რეაბილიტაციაზე 2 მილიონ 712 ათასი ლარი დაიხარჯა. „კარგი გზა მნიშვნელოვანი ფაქტორია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, რადგან აგრარულ სექტორში დასაქმებულ ადამიანს კარგ ტექნიკასთან ერთად ნაკვეთამდე მისასვლელი გამართული ინფრასტრუქტურაც სჭირდება“-აცხადებს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

სოფელ ხორნაბუჯში „სოფლის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში და მუნიციპალიტეტის სახსრებით მინი სტადიონი გაკეთდა. სოფლის მცხოვრებთა განცხადებით, ისინი კმაყოფილები არიან, რადგან მათ შვილებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის აქამდე ხელშემწყობი ფაქტორი არ ჰქონდათ. „რამდენიმე თვეა, რაც სტადიონი გაკეთდა, მთელი ზაფხულის განმავლობაში უფროსი ასაკის ადამიანებიც კი სიამოვნებით ვიკრიბებოდით ამ ადგილას. ხედავთ, რომ მშვენიერი ხედი იშლება, ამიტომ სტადიონს ორმაგი დატვირთვა აქვს-დასვენების ადგილიცაა და სპორტით დაკავებისაც“-აცხადებს ხორნაბუჯის მოსახლეობა.

საკადრო ცვლილებები მთავრობაში

საქართველოს მთავრობაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას თანამდებობიდან გადაყენებას მისი გუნდის წევრი სხვა მინისტრებისა და მოადგილეების გადადგომა მოჰყვა. ორად გაიყო საზოგადოებისა და ექსპერტთა მოსაზრებებიც.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და მისმა მოადგილეებმა თანამდებობა დატოვეს. მანამდე გადადგომის შესახებ სატელევიზიო ეთერში განაცხადა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა. ამასობაში, პრემიერ-მინისტრმა თავდაცვის გადაყენებული მინისტრის, ირაკლი ალასანიას შემცვლელი, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი, მინდია ჯანელიძე წარუდგინა საზოგადოებას. იუწყებიან, რომ შესაძლოა გადადგომის თაობაზე განაცხადონ სხვადასხვა ქვეყნებში საქართველოს ელჩებმა. თანამდებობაზე რჩება იუსტიციის მინისტრი. თეა წულუკიანმა განცხადება საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ის ტოვებს მინისტრის პოსტსა და კოალიცია “ქართულ ოცნებას”. ფანჯიკიძის თქმით, თანამდებობას ტოვებს მისი ოთხივე მოადგილეც: დავით ზალკალიანი, თამარ ბერუჩაშვილი, დავით ჯალაღანია და ვლადიმერ გურგენიძე. თუმცა, მეორე დღეს თანამდებობებზე დარჩენის თაობაზე განცხადება გააკეთეს თამარ ბერუჩაშვილმა და დავით ჯალაღანიამ. გავრცელებული ინფორმაციით, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტს, სავარაუდოდ, თამარ ბერუჩაშვილი დაიკავებს. ისევე როგორც ირაკლი ალასანიამ, რომელიც პრემიერ-მინისტრმა 4 ნოემბერს გადააყენა თავდაცვის მინისტრის პოსტიდან, ფანჯიკიძემაც განაცხადა, რომ საფრთხე ემუქრება საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს:

„ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური კურსი, საქართველოს ევროპული მომავალი არის საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ხალხის არჩევანი. ეს არის ის, რასაც მოსახლეობამ მხარი დაუჭირა 2012 წლის არჩევნებზე და ჩემს გუნდს, იმ ადამიანებს, რომლებსაც შეგვეძლო და გვევალებოდა ამ მიზნის პირდაპირი შესრულება, არ შეგვიძლია ვუღალატოთ ქართველი ერის ამ არჩევანს და დღეს ჩვენი ამ ნაბიჯით არ დავანახვოთ მათ ის საფრთხეები, რის წინაშეც ქვეყანა რეალურად დგას“.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ზალკალიანის თქმით, მან „მეგობრებისა და თანამებრძოლების გვერდით დგომა არჩია“ და განაცხადა, რომ ის რჩება პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ გვერდით:

„გაჩნდა კითხვები ჩვენი ქვეყნის საგარეო კურსთან მიმართებაში. მე არ მაქვს მორალური უფლება სხვაგვარად მოვიქცე. არასდროს ჩემი ქვეყნის პრინციპებისთვის არ მიღალატია. ამაყი ვარ, რომ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებულ ათას გვერდზე ჩემი ხელმოწერა დავტოვე. ეს უბრალო ხელმოწერა არ არის - იქ არის ჩემი გული, იქ არის ჩემი რწმენა, რომ საქართველოს ევროატლანტიკური კურსი არის უცვლელი. ჩემი დღევანდელი არჩევანი არის შესაბამისობაში ჩემს სამსახურთან და ღირებულებებთან“.

საგარეო საქმეთა მინისტრის და მისი მოადგილეების საქციელს ორჯერ გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი: პირველად - თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ალასანიას შემცვლელის წარდგენისას და მეორედ - სპეციალურ ბრიფინგზე. ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, იყო მოლოდინი, რომ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი და საგარეო საქმთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე დატოვებდნენ თანამდებობებსო. ძალიან ვწუხვარ, რომ მაია ფანჯიკიძემ ოჯახის წევრის მიმართ სოლიდარობა არჩია საქვეყნო ინტერესსო. „თავისუფალ დემოკრატებში“ ბევრი ღირსეული პიროვნებაა, მათ შორის ბევრი ჩემი მეგობარიცაა,თქვა ღარიბაშვილმა, მაგრამ მათი პირადი საქმეა აირჩევენ ირაკლი ალასანიას, რომელმაც, უპასუხისმგებლო განცხადებები გააკეთა და უპასუხისმგებლოდ მოიქცა, თუ ქვეყნის ინტერესებს დაიცავენო:

„მე ნამდვილად ვწუხვარ, რომ ქალბატონმა მაიამ თავისი ოჯახის წევრის მიმართ გამოხატა სოლიდარობა და არა ქვეყნისა და სახელმწიფოს მიმართ. ეს არის ძალიან პრინციპული ჩემთვის. თუმცა, რა ვქნათ, ეს არის მათ არჩევანი, ეს არის მათი უფლება და ჩვენ ვაგრძელებთ წინსვლას და მე მინდა ყველას შევახსენო, ძალიან სპეკულირებენ და მე მოვისმინე განცხადებები, რომ თითქოს 2012 წლის არჩევანი და ქართველი ხალხის გამარჯვება... 2012 წლის ოქტომბრის არჩევნები უკავშირდება ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“, ეს არ უკავშირდება „თავისუფალ დემოკრატებს“ მხოლოდ, ცალკე აღებულს, ან, მით უმეტეს, ირაკლი ალასანიას“.

მოგვიანებით სპეციალურ ბრიფინგზე ირაკლი ღარიბაშვილმა საზოგადოებას შეახსენა, რომ ევროპული კურსი არის ქვეყნის ხელისუფლებისა და საზოგადოების არჩევანი, რომელსაც არასოდეს გადაუხვევენ, და თანამდებობების დატოვებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ის, რაც ხდება, შეიცავს საბოტაჟის ნიშნებს:

„საზოგადოებისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ განცხადებებს, ასეთ უპასუხისმგებლო, ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგო, ჩვენი ქვეყნის ევროპული არჩევანის საწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებენ ერთი პოლიტიკური პარტიის წევრები, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრები, და არჩევანს აკეთებენ პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის და სოლიდარობას უცხადებენ ერთმანეთს, თუმცა გამოძიების პროცესის შეჩერება

(გაგრძელება გვ.2)

შემოდგომის ფესტივალი

გვ. 3

მიწები,გვალვისგან მიყენებული ზარალი და ფერმერთა გასაჭირი



გვ. 5

ალასანიას დედოფლისწყაროს ორგანიზაცია დაეუბალა?!

გვ. 2

„ცოტა იცოცხლა და ბევრი იცხოვრა“

გვ. 4



C M Y K

მინდია ჯანელიძე - იმედი გვაქვს, რომ თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკური და სამხედრო ბლოკების ურთიერთობა ნაყოფიერი იქნება

იმედი გვაქვს, რომ თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკური და სამხედრო ბლოკების ურთიერთობა იქნება ნაყოფიერი, - ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, მინდია ჯანელიძემ საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მინდია ჯანელიძემ პირველი სამუშაო დღე გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეებთან, დეპარტამენტის უფროსებსა და სხვადასხვა ქვედანაყოფის სარდლებთან შეხვედრით დაიწყო.

"შედგა შეხვედრა გენერალური შტაბის ხელმძღვანელობასთან. გენშტაბის უფროსი არ იმყოფება საქართველოში და უახლოეს დღეებში ჩამოვა. ჩვენ შევხვდით სამხედრო მეთაურებს. ვისაუბრეთ შეიარაღებული ძალების წინაშე მდგარ საჭირბოროტო საკითხებზე, დავსახეთ მომავალი მუშაობის გეგმა. უახლოეს პერიოდში შევიკრიბებით განმეორებით და ყველა ძირითადი მიმართულებისგან, ყველა დანაყოფის წარმომადგენლისგან მოვისმენთ კონკრეტულ ანგარიშს, თუ რა მდგომარეობაა თითოეულ მიმართულებაზე, რა პრობლემებია, როგორ შეიძლება ამ პრობლემების გამოსწორება და ა.შ. მინდა გითხრათ, რომ პირველმა შეხვედრამ ჩაიარა საკმაოდ დადებითად. ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. იმედი გვაქვს, რომ თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკური და სამხედრო ბლოკების ურთიერთობა იქნება ნაყოფიერი და შეიარაღებული ძალების განვითარებაზე ორიენტირებული",- განაცხადა ჯანელიძემ.

გენარალური შტაბის უფროსის მოადგილის, პოლკოვნიკ რომან ჯოხაძის განცხადებით კი, შეხვედრაზე განიხილეს როგორც არსებული სიტუაცია, ასევე სამომავლო გეგმები.

"განვიხილეთ არსებული სიტუაცია, არსებული გეგმები, ასევე სამომავლო საკითხები. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. დაიგეგმა შემდეგი შეხვედრა, სადაც დეტალურად იქნება განხილული ჩვენი სტრუქტურების შესაძლებლობები და სამომავლო მოქმედებები", - განაცხადა ჯოხაძემ.

ირაკლი ღარიბაშვილმა 7 ნოემბერს „სისხლიანი თარიღი" უწოდა

7 ნოემბერი არის თარიღი, რომელსაც ხალხი არასოდეს აპატიებს „ნაციონალურ მოძრაობას", - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

პრემიერის თქმით, 2007 წლის 7 ნოემბერი სახელმწიფოს უახლესი ისტორიის სისხლიანი თარიღია.

„მაშინდელმა ხელისუფლებამ უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე - სასტიკად დაარბია მშვიდობიანი მომიტინგეები, საკუთარი მოქალაქეები, ფეხქვეშ გათელა მათი პიროვნული ღირსება და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპები. მინდა გავიხსენო 7 ნოემბერს დამოუკიდებელ ტელეკომპანია „იმედში" შეჭრა. ეს იყო თავისუფალი სიტყვის ჩახშობა ძალადობრივი გზით და რეჟიმის გამოხატულება. მაშინ და შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ ჩვენი საზოგადოება, თავისუფლების მოყვარული ხალხი ღირსების შელახვას არასოდეს შეეგუება", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ალასანია - ივანიშვილთან ბევრ საკითხზე ვისაუბრე, მაგრამ ეს ჩვენს შორის დარჩება

საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ალასანიას ინფორმაციით, გუშინ საღამოს მასსა და ბიძინა ივანიშვილს შორის შეხვედრა ორმხრივი შეთანხმებით შედგა.

როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, მათ გაცვალეს ხედვები ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

"ჩვენ გავცვალეთ ხედვები იმ პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი. ძალიან გულწრფელი საუბარი იყო. ერთი თანხმობა შედგა, რომ ჩვენ ყველა პოლიტიკური პროცესი უნდა წავიყვანოთ ისე, რომ არ დაზიანდეს სახელმწიფო. ეს იყო ძირითადად ჩვენი საუბრის შინაარსი. ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ, მაგრამ ეს, ბუნებრივია, ჩვენს შორის დარჩება", - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი საკანონმდებლო ორგანოში ფრაქცია "თავისუფალი დემოკრატების" წევრებს შეხვდა. მისი ინფორმაციით, მან გუნდს ივანიშვილთან საუბრის ზოგადი შინაარსი გააცნო და ახლა კონსულტაციას პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართავს.

ესეების კონკურსში დედოფლისწყაროელმა გოგონამ გაიმარჯვა

ევროკავშირის კულტურის კვირეულის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებისთვის გამოცხადებულ ესეების კონკურსში დედოფლისწყაროელმა მოზარდმა გაიმარჯვა.

საკონკურსოდ შერჩეული იყო წიგნები: მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო", უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონი" და „ანა ფრანკის დღიური". 14-დან 18 წლამდე მონაწილეებს ესეები სამი შეთავაზებული წიგნიდან ერთ-ერთზე უნდა დაეწერათ. საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლიდან სულ 71 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. ნამუშევრები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით შეფასდა: წერის ზოგადი კულტურა, ტექსტის ორგანიზება, გადმოცემული აზრის სისხარტე და ორიგინალურობა, ძირითადი იდეების გამოკვეთა და მათი თანამედროვეობის კონტექსტში დანახვა.

სამ საპრიზო კატეგორიაში ცხრა გამარჯვებული გამოვლინდა: გამარჯვებულების პირველ სამეულში, მოხვდნენ: 1. თამთა მახათაძე — შორაპნის საჯარო სკოლა 2. ლილი ჩხარტიშვილი — ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოშვილის საჯარო სკოლა 3. სოფიო მენთეშაშვილი — დედოფლისწყაროს მე-2 საჯარო სკოლა, მე-12-ე კლასი.

პირველ ადგილზე გასულ სამ გოგონას პრიზად გადაეცემა ელექტრონული წამკითხველი, მეორე სამეულის გამარჯვებულებს გადაეცემათ წიგნის მაღაზია „დიოგენე"-ს 100 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერები, ხოლო მესამე სამეულის გამარჯვებულებს წიგნის მაღაზია „დიოგენე"-ს 50 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერები.

„კონკურსსის შესახებ ფაცებოოკ-ის საშუალებით გავიგე. მისი ორგანიზატორია ევროკავშირის საინფორმაციო კამპანია სახელწოდებით "ერთად შევეგებოთ ევროპას". ორგანიზაციის მიზანია, ხელი შუწყოს ქართველი ხალხისა და ევროპის დაახლოებას, საქართველოს სწრაფ განვითარებას, მომავლის ახალი ხედვის ჩამოყალიბებას. სწორედ ამიტომ, ევროკავშირის კულტურის კვირეულის ფარგლებში ორგანიზაციამ გამოაცხადა ესეების კონკურსი უფროსკლასელებისთვის.მე ესე დავწერე მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრ საყელოზე". მოსწავლეები მთელი საქართველოს მასშტაბით მონაწილეობდნენ. აქედან მოვხვდი გამარჯვებულ პირველ სამეულში და პრიზად მერგება ელექტრო რიდერი (ელექტრონული წიგნების საკითხავი მოწყობილობა). რაც შეეხება ჩემს დაინტერესებას, თუ რატომ მივიღე მონაწილეობა. მიმაჩნია, რომ თითოეული ადამიანი უნდა იღწვოდეს ყოველადღიურად საკუთარი თავისა და შესაძლებლობების სრულყოფისკენ, ეძიებდეს მუდამ ახალს, სცდიდეს თავს მისთვის საინტერესო სფეროში. ჩემთვის ეს კონკურსი საინტერესო იყო მარტო იმითაც კი, რომ კიდევ ერთი შესანიშნავი ნაწარმოები წავიკითხე და გაავაანალიზე. ვერ გეტყვით, რომ არ ჰქონდა მნიშვნელობა, რა შედეგს მივიღებდი, მაგრამ ამ შემთხვევაში, კონკრეტულ შედეგზე უფრო მეტად შრომის პროცესი და შემოქმედებითი სიამოვნება მაინტერესებდა. ყველა ჩემს თანატოლს ვურჩევ, იყვნენ ნოვატორები. განავითარონ საკუთარი თავი! იპოვონ ინტერესთა სფერო, დაისახონ მიზანი ცხოვრებაში, იშრომონ და აუცილებლად მიაღწევენ მას. ყველა ვერ იჯდება რბილ სავარძელში, მაგრამ ყველას აქვს შესაძლებლობა და უფლება, აკეთოს ის, რაც უნდა, რაც უყვარს. ვფიქრობ, დიდი არაფრისთვის მიმიღწევია ჯერჯერობით, მაგრამ რასაც მივაღწიე, იმისთვის მადლობა უფალს. გახსოვდეთ, „ყოველი ნიჭი ზეგარდამო არს". აი, ამის თქმა მინდა ადამიანებისთვის," — აღნიშნავს სოფიო მენთეშაშვილი.

გამარჯვებულთა დაჯილდოვების ცერემონია, სავარაუდოდ, 25 ნოემბერს ჩატარდება.

საკადრო ცვლილებები მთავრობაში

(პირველი გვერდიდან)

პოლიტიკური სარჩულით არის ყოვლად დაუშვებელი".

პრემიერმა 5 ნოემბერს თავდაცვის მინისტრის პოსტზე თავისი ყოფილი მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში, უსაფრთხოებისა და კრიზისების საბჭოს მდივანი მინდია ჯანელიძე წარუდგინა საზოგადოებას და თქვა, რომ დარწმუნებულია, ის იქნება გაცილებით უკეთესი მინისტრი, ვიდრე მისი წინამორბედი იყო. თავის მხრივ, მინდია ჯანელიძემ პრემიერისადმი მადლიერების გამოხატვით დაიწყო გამოსვლა და განაცხადა, თანამდებობასთან დაკავშირებული ტვირთი გაცნობიერებული მაქვს და ნდობის გასამართლებლად ყველაფერს გავაკეთებო, და სამომავლო მუშაობის რამდენიმე პრინციპიც ჩამოთვალა:

„შეიარაღებული ძალების განვითარების კურსი დარჩება უცვლელი, ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი, ეს არის ჩვენი მთავრობის არჩევანი, ის ორიენტირებული იქნება ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ კიდევ უფრო დაუახლოვდეს ჩვენი ქვეყანა ნატოს".

სანამ მთავრობის კანცელარიაში თავდაცვის მინისტრის შემცვლელს წარადგენდნენ, ირაკლი ალასანია სამინისტროს თანამშრომლებს ემშვიდობებოდა.

მოგვიანებით ირაკლი ალასანია სამინისტროს შენობაში შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში რიჩარდ ნორლანდს შეხვდა. საუბარი ნახევარ საათს გაგრძელდა. თავდაცვის ყოფილ მინისტრს სამინისტროში შეიარაღებული ძალებისა და სამინისტროს სამოქალაქო ოფისის თანამშრომლები ელოდებოდნენ. ირაკლი ალასანიამ ეზოში თანამშრომლების მიერ გაკეთებულ კორიდორში გაიარა. ყოფილი თანამშრომლები მას ტაშით შეხვდნენ. ალასანიამ მადლობა გადაუხადა და დაემშვიდობა.

დღის ბოლოს თავისი პოზიცია გამოხატა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. მას, იმის გამო, რომ მინისტრის პოსტი უჭირავს, შეჩერებული აქვს პარტიული მანდატი, მაგრამ მის განცხადებას, როგორც ირაკლი ალასიანიას გუნდის წევრისას, საზოგადოება ინტერესით ელოდა. თეა წულუკიანმა შესავალშივე შენიშნა, რომ მისი ნათქვამი საზოგადოების ყველა წევრისთვის ვერ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი. მისი სიტყვებით, ის დაბრუნდა ევროპიდან იმისთვის, რომ საქართველო მიეყვანა ევროპამდე, მისი სამინისტროსთვის კი არასდროს არავის შეუშლია ხელი ევროპისკენ სვლაში.

„მანამ მე და ჩემს გუნდს ამ სამინისტროში გვაქვს თავისუფლება ვიმუშაოთ რეფორმებზე, რომელსაც, ჩემი ღრმა რწმენით, მიჰყავს საქართველო ევროპამდე, - და აქამდე არ მქონია არანაირი საფუძველი მეფიქრა, რომ ჩვენი მთავრობა პროევროპული მთავრობა არ არის, - მე და ჩემი გუნდი ვრჩებით იუსტიციის სამინისტროს სათავეში", განაცხადა თეა წულუკიანმა და დაამატა, რომ ის აგრძელებს მუშაობას საქართველოს სახელმწიფოსთვის.

საკადრო ცვლილებებს ჯაჭვური რეაქცია მოჰყვა და რეგიონებში გადმოინაცვლა. ბევრმა დატოვა „თავისუფალი დემოკრატების" რიგები და „ქართული ოცნების" ბანაკში გადმოინაცვლა. ექსპერტთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, ალასანიას პარტიას ბევრი დატოვებს და ის პოლიტიკურად გაკოტრდება. საზოგადოების ერთი ნაწილი კი ალასანიას „ნაციონალურ მოძრაობასთან" შესაძლო ალიანსზე ალაპარაკდა, მიუხედავად იმისა, რომ მან ეს კატეგორიულად უარყო. თუმცა, მოგეხსენებათ, პროგნოზები ყველაზე უმადური და სარისკო საქმეა, ამიტომ დაველოდოთ, როგორ გადანაწილდება პოლიტიკურ დაფაზე ძალები და რა სიურპრიზების მომსწრე გახდება ქართული საზოგადოება. მანამდე კი ვრცელდება ინფორმაცია ალასანიასა და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრის თაობაზე, მაგრამ დეტალებზე საუბრისგან ყველა თავს იკავებს.

საქართველოს მთავრობაში არაერთი განცხადება გაკეთდა იმის შესახებ, რომ ქვეყნის პოლიტიკური კურსი უცვლელია და მთავრობა ქართველი ხალხის არჩევანს პატივს სცემს. ამით ქვეყნის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გააქარწყლა ექს თავდაცვის მინისტრის ბრალდება და ამავდროულად, გააკეთა აქცენტი, რომ დანაშაულისთვის ყველამ პასუხი უნდა აგოს, ვისი გუნდის წევრსაც არ უნდა წარმოადგენდეს ის.

ინგა ჟიოლაშვილი

ალასანიას დედოფლისწყაროს ორგანიზაცია დაეშალა?!

ირაკლი ალასანიას ირგვლივ განვითარებული მოვლენებს გაგრძელება დედოფლისწყაროშიც მოჰყვა. პარტიის „თავისუფალი დემოკრატების" დედოფლისწყაროს ორგანიზაციის წევრებმა პარტია დატოვეს. ინფორმაცია გაზეთ „შირაქს" ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ ხუციშვილმა დაუდასტურა.

როგორც ცნობილია, „თავისუფალი დემოკრატები" დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში სამი მანდატით არის წარმოდგენილი. ნიკოლოზ ხუციშვილი, ბესიკ ქავთარაძე და თემურ ოზბეთელაშვილი ფრაქცია „ქართული ოცნება თავისუფალი დემოკრატებში" არიან გაწევრიანებულნი.

ფრაქციის თავმჯდომარე ნიკოლოზ ხუციშვილი ამბობს, რომ პარტია დატოვეს და „ქართული ოცნების" შემადგენლობაში რჩებიან. მათთვის პარტიის ლიდერის ნაბიჯები მიუღებელია და ქვეყნის განვითარებისთვის კოალიციაში დარჩენას ამჯობინებენ.

რაც შეეხება ფრაქციის დაშლის საკითხს, ხუციშვილის განმარტებით, დედოფლისწყაროს საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება თავისუფალი დემოკრატების" საგანგებო სხდომა 10 ნოემბერს არის დანიშნული, სადაც კონკრეტული გადაწყვეტილებები მიიღება. სწორედ ორშაბათს უნდა გაირკვას, ალასანიას ფრაქცია რა ფორმით გააგრძელებს მუშაობას.

როგორც „თავისუფალი დემოკრატების" ყოფილმა წევრმა დედოფლისწყაროში ბესიკ ქავთარაძემ განაცხადა, პარტიის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება ფრაქციის თავმჯდომარესთან ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ მიიღო. მისივე თქმით, ალასანიას ნაბიჯი მისთვისაც მიუღებელია და „ერთი კაცის თანამდებობიდან წასვლა ქვეყნის საგარეო კურსს საფრთხეს არ უქმნის".

გაზეთ „შირაქის" ინფორმაციით, „თავისუფალი დემოკრატების" დედოფლისწყაროს რაიონულ ორგანიზაციაში 25-მდე ადამიანია გაწევრიანებული.

ილია მარტყოფლიშვილი

შემოდგომის ფესტივალი საბავშვო ბაღებში

შემოდგომის ფოთლებით მოჩითული ეზო, სიმწვანეში ჩაფლული შენობა, ირგვლივ საოცარი წესრიგი და სისუფთავე, ისმის სასიამოვნო ჰანგები... შემოდგომის პეიზაჟით გაფორმებული დარბაზი, შემოდიან ერთნაირ "გლეხის გოგო-ბიჭების" ფორმაში გამოწყობილი ბავშვები და მათი მასწავლებლები. N2 ბაგა-ბაღის 5-6 წლიანთა ჯგუფში შემოდგომის ზეიმი იწყება.

„...ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი სიმდიდრე ჩაუდგა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯე, ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდან ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო."-ამ სიტყვებით ხსნის ღონისძიებას ნუცა სესიტაშვილი და შემდეგ სიტყვას გიორგი ალუღიშვილს გადასცემს, მას დავით მარტყოფლიშვილის ლექსი მოჰყვება სამშობლოზე და მთელი საათი არ წყდება საოცრად ერწყმოდა იქ შექმნილ შემოდგომის პეიზაჟს და რომლიც აღსაზრდელების:ნიკოლოზ არაბულის, მიხეილ ალუღიშვილის მარიამ გონაშვილის, გიორგი თეთრაულის, გვანცა კობაიძის, მარიამ კუპატაძის, მარიამ შოშიაშვილის, გვანცა ქავთარაძისა და სხვათა მიერ შესრულებული ცეკვები, სიმღერები თუ ინსცენირებები.

ჯგუფის პედაგოგ ირმა ხუზაურაშვილს მის თანაშემწე ელზა ბენაშვილთან ერთად დიდი შრომა ჩაუდვია ამ ღონისძიების მოწყობაში. ბავშვებთან თემატურად გაწეულ მუშაობაზე რომ აღარფერი ვთქვათ, დარბაზი სანახაობრივადაც ძალიან შთამბეჭდავად იყო გაფორმებული, აი შემოდგომის ყველა კომპოზიცია იყო წარმოდგენილი, ხოლო კედელზე გაკრულ ძველებურ, ხელითნაქსოვ ფარდაგზე კი ირმას მიერ დამზადებული ხელნაკეთი თოჯინები იყო გამოფენილი, რომელიც ჩვენი სამშობლოსთვის, ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნისთვის... თითოეული მათგანის მიერ დადებული თითო აგური ააშენებს მას და

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს
გმირთაგმირი,
სიხარულად შეეცვლება,
ამდენი ხნის გასაჭირი!"

მანამდე კი მათ ჯერ ცხოვრების დიდი გზა აქვთ გასავლელი, გზა პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად... ამ გზაზე განვლილ თითოეულ დღეს კი მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, სწორედ იმ დღეებს, რომლებსაც "შემოდგომის ფესტივალი," "გამოსაშვები საღამო" თუ გაზაფხულზე "დედის დღე" ჰქვია. დღეები, რომლებიც თითოეული მათგანის მეხსიერებაში წარუშლელ კვალს ტოვებს და მათი სულიერი სამყაროც აქედან ყალიბდება. დღეს N2 ბაღში ამისათვის ყველა პირობაა შექმნილი: კარგად შერჩეული აღმზრდელები, სრულფასოვანი კვება, თბილი, მშვიდი და კომფორტული გარემო, ეს ყველაფერი სრულიად საკმარისია ჩვენი ბავშვების სწორი და ჯანსაღი განვითარებისათვის.

- „დამალოცინეთ, ჩემი სამშობლო
დამალოცინეთ,
ღვინოს დავლევ თუ სანთელს
ავანთებ,
მე საქართველო დამალოცინეთ"

- ამ სიტყვებს ამბობს გიორგი თეთრაული და მის გულში სამშობლოს სიყვარულის ნაპერწკალი ნელ-ნელა ღვივდება.

- "რა კაცია, ეზო-კარი, ვინც ნარ-
ეკლით შემოღობა,
გაუმარჯოს ძმად შეფიცვას,
გაუმარჯოს მეგობრობას!- ამ ლექსით მიხეილ ალადაშვილი ნამდვილ მეგობრობას სწავლობს. შემდეგ ნუცას და დავითის შაირები იწყება, მას სიმღერები და ცეკვები მოჰყვება, შემდეგ კი მთელი ჯგუფი კვლავ პატრიოტულ ნოტაზე აგვირგვინებს დასასრულს ილია ჭავჭავაძის სიტყვებით:

„ჰე, მამულო, გრძნობა შენი
მოვლისა, მარად ყველა
ჩვენთაგანის ვალია!..."

ასე დაგვემშვიდობნენ პატარები და სიტყვა პედაგოგებს დაუთმეს. ჯგუფის აღმზრდელმა ირმა ხუზაურაშვილმა და ბაღის დირექტორმა მაია გაგნიაშვილმა მადლობა გადაუხადეს აღსაზრდელებს ლამაზი ღონისძიებისათვის, მშობლებს მხარში დგომისთვის და მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისთვის.

ელზა ხარაშვილი



კახეთი შემოდგომის ადგილის დედაა!

გრძელდება შემოდგომის ფესტივალი N2 საბავშვო ბაღში, ეს რიგით მეხუთე ღონისძიებაა ამ ფესტივალის ფარგლებში. ამჟამად 5-6 წლიანთა მეორე ჯგუფის ზეიმს ვესწრებით. დარბაზი იგივეა, მაგრამ უკვე სრულიად განსხვავებულად, თუმცა ისევ შემოდგომის პეიზაჟით გაფორმებული, ისევ შემოდგომის კომპოზიციებით, სხვა წარმოსახვით, სხვა ხედვით, სადაც მთავარი თემატიკა დაცულია-"კახეთი შემოდგომის ადგილის დედაა!"

დარბაზში შემოდიან კვლავ "გლეხის გოგო-ბიჭების" კოსტუმებში გამოწყობილი ბავშვები, მათ უკან პედაგოგები:თამუნა ლომსაძე და მარინა ხიჟჩენკო-ჯორკოშვილი ფეხდაფეხ მოჰყვებიან, განწყობა საზეიმოა.

- მოგესალმებით, საყვარელო სტუმრებო, ჩვენ ვეცდებით, რომ შემოდგომის ეს ერთი ლამაზი დღე უფრო გაგილამაზოთო- გვპირდება გიორგი კევლიშვილი და თანაჯგუფელებთან:საბა კვანჭილაშვილთან, ლიზი ზედელაშვილთან, ნიკოლოზ ღვედაშვილთან, ქეთი ყაჭაშვილთან, თომა ლომსაძესთან, გიორგი ლიქოკელთან, ანი და თაზო ყაზარაშვილებთან, ნიკოლოზ ზუბიაშვილთან,მარიამ ყოჩიაშვილთან, თეკლა ცაკაშვილთან, დემეტრე ფიროსმანაშვილთან, სოფო იაკობიშვილთან, ანა ზირაქიშვილთან, ანდრია ბიკაშვილთან, მარიამ მოდებაძესთან, ნიკა ხარაზიშვილთან, ილია გიგოლაშვილთან, გიორგი ქადაგიძესთან, ლელა პოპიაშვილთან, ილია და მიხეილ ტოკლიკიშვილებთან, საბა კვანჭიანთან, ბექა სესიტაშვილთან, თორნიკე მაჩაბლიშვილთან, მარიამ ნატროშვილთან და საბა პირზადოვთან ერთად შეასრულა კიდეც დანაპირები.

წელიწადის დროებს ახასიათებს საბა კვანჭიანი და მათგან აქცენტი ოქროსფერ შემოდგომაზე გადააქვს, შემდეგ რთველს ახასიათებს ლიზი ზედელაშვილი და ბუნების ზოგად მიმოხილვას ნიკოლოზ ღვედაშვილს ანდობს:"ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისაო, -ომახიანად შემოსძახებს ნიკოლოზიც და კახეთისა და კერძოდ, ქიზიყის დახასიათებას ნიკოლოზ ზუბიაშვილს მიანდობს, რომელიც ძალიან დარწმუნებულია ნათქვამის სიზუსტეში -"კახეთი შემოდგომის ადგილის დედაა, ქიზიყი კი მისი უბატონო კუთხე! ამიტომ, კახელი კაცი მტკიცე ხასიათაა, ხელგაშლილი, ძლიერი და ახოვანი, ამაში კი მას ბუნება უწყობს ხელსო!"

შინაარსობრივად ძალიან ლამაზად და ზუსტად მორგებული სცენარის მიხედვით შესრულებულმა ღონისძიებამ კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქა ჩვენი ბავშვების მეხსიერებას და კიდევ ერხთელ შეეწყო ხელი მათი თვალსაწიერის განვითარებას, რისთვისაც მშობლებმა მადლობა არ დაიშურეს პედაგოგებისადმი, ხოლო ბაღის დირექტორმა მაია გაგნიაშვილმა თავის მხრივ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა მშობლებს მათ მიერ გაწეული თანადგომისათვის.

ელზა ხარაშვილი

„ცოტა იცოცხლა და ბევრი იცხოვრა“

პატარა ირაკლი ზღაპრული ვარსკვლავთბიჭუნა იყო. სიხარულის მომტანი, ნამდვილი ღვთის საჩუქარი. საოცრად მდიდრული გარეგნობა ჰქონდა, ბავშვისთვის შეუფერებლად ჭკვიანური და ნაღვლიანი თვალები, ფიქრიანი, მშვიდი გამოხედვა. დედას ჰგავდა, მასავით ლამაზი იყო და საყვარელი, მაგრამ მამისაგანაც ბევრი გამოჰყოლოდა: მრავალმხრივობა, ხალასი ნიჭიერება, უნარი და მისწრაფება, ყოველთვის და ყველგან გამოკვეთილი ინდივიდუუმი ყოფილიყო, აუთენტური თვითგამოხატვით. მამაშვილისთვის არასოდეს იყო მისაღები კონფორმისტული ინტენცია – „ვიქნები ყველასნაირი“, პირიქით.

გუჩა კვარაცხელია.

29 ოქტომბერსაც სკოლა „ბენაურის“ ლიტერატურულმა კლუბმა „მერანი“ ფართოდ გაუღო კარი დედოფლისწყაროს ინტელიგენციას.აქ დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ ირაკლი ჩარკვინისადმი მიძღვნილი წიგნის „ამბავი მეფეზე“ პრეზენტაცია მოაწყო. ის ჩატარდა ამ საზოგდოების საპატიო თავმჯდომარის ვანო ნატროშვილის პატრონაჟით. სპონსორობა იკისრა გასართობი ცენტრის „ლაბირინთი“ ხელმძღვანელმა მარინე ცხვედიანშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას. საინფორმაციო მხარდაჭერას კი გაზეთები: „შირაქი“, „საქართველოს ლირიკა“, „ახალი განათლება“, „საქართველოს რესპუბლიკა“ და ტელეარხი „ობიექტივი“ უწევდნენ. წიგნის რედაქტორი გაგა ლომიძეა. ეს წარმოადგენს კრებულს, სადაც შესულია მოგონებები ირაკლი ჩარკვიანზე და სრულად გადმოსცემს პორტრეტს იმ ადამიანისას, რომელმაც თავისი არაორდინალურობით, გამორჩეულობით, ნიჭიერებით და სიმართლით დაამსხვრია სტერეოტიპები და ამ მსხვრევას დიდი რეზონანსი მოჰყვა. ზოგნი მას გენიოსად შერაცხავდნენ, ზოგისთვის კი ის ერთი კალაპოტიდან ამოვარდნილი თავისებური ბიჭი იყო, რომელსაც თავის თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა.დრომ კი ყველაფერი თავის ადგილზე დაალაგა. **ვინ იყო სინამდვილეში ირაკლი ჩარკვიანი?** პირველ რიგში ირაკლი იყო იმ გვარის ღირსეული შვილი, რომელმაც საქართველოს არაერთი გამოჩენილი პიროვნება მისცა: უფროს თაობას და, ზოგადად, საქართველოს ისტორიას ახსოვს კანდიდ ჩარკვიანი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ირაკლის ბაბუა, ირაკლის მამა გელა ჩარკვიანი – თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკოსი, ხელოვანი, საზოგადო მოღვაწე, დიდი პოეტი ვასილ ჩარკვიანი და მისი ვაჟი მამუკა ჩარკვიანი, რომლებსაც სულ ცოტა ხნის წინ ქართველმა საზოგადოებამ მამა–შვილის ტანდემური ვარსკვლავი გაუხსნა. და, ალბათ, სწორედ ამიტომ ასეთი გენეტიკის პატრონი ვერანაირ ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა.

- ამ წიგნის გამოცემის მიზანი იმ ადამიანების შეძლებისდაგვარად სუბიექტური ხედვის წარმოჩენაა, რომლებიც უშუალოდ იცნობდნენ ირაკლი ჩარკვიანს, ან ვისი დამოკიდებულებაც მისი შემოქმედების მიმართ, პროფესიული თვალსაზრისით, საინტერესო შეიძლება იყოს მკითხველისთვის; წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა ადამიანის სუბიექტური ხედვა „მეფეზე“, მუსიკოსზე, პოეტზე, მოაზროვნეზე, განსხვავებულ ადამიანზე.არ გამოვრიცხავ და, ალბათ, ისეთი ადამიანებიც არიან, რომელთაც ირაკლი გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა და დღემდე უქმნის, რადგან რთულია, შეეგუო აზრს, რომ სიმპათიური,ჭკვიანი, ნიჭიერი და შენზე შთამბეჭდავია სხვა, ვინც ცოცხალიც და მკვდარიც უსწრებს დროს და მეტად აღელვებს ხალხს. მის შემოქმედებასთან შეხება, პოეზია იქნება ეს, მუსიკა თუ ავტობიოგრაფიული რომანი „მშვიდი ცურვა“, თავისუფლების ხარისხის მატების პირდაპირ პროპორციულია,- წერს თავის მოგონებებში მისი მეუღლე და ერთადერთი შვილის – ნანას დედა, მომღერალი ქეთევან ჩარკვიანი-პოპიაშვილი.

– სიმღერაში გაიხსნა მისი პოეზიის ყველა შრე, იქ გამოვლინდა მისი სიყვარულის მძაფრი შეგრძნება, მუდმივი პროტესტი ყველაფერი ჩვეულებრივისადმი, რასაც ხშირად ეპატაჟურად, ზოგჯერ სკანდალურად გამოხატავდა მისი დიდი ინტელექტი და დახვეწილი გემოვნება. და, რაც მთავარია, მუსიკაში გამოვლინდა მისი უსაზღვრო, ზოგჯერ ფატალური სწრაფვა თავისუფლებისკენ. მაშინ მივხვდი, რომ მუსიკა იყო მისი ბუნებრივი მდგომარეობა, ამ სივრცეში ირაკლი იყო „მეფე“. იყო და არის დღესაც,– წერს გიორგი ეზრალიძე.

– მეფე რომ დაირქვა, თბილისი აღშფოთდა, ვინ არის მეფეს რომ ირქმევსო, აღმოჩნდა, რომ მართლა „მეფეა“, „როკის მეფე“. გავა ასი, ორასი წელი, დღევანდელი პოლიტიკოსები და „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ აღარავის ემახსოვრება, ირაკლი ჩარკვიანის მუსიკას კი ჩვენი შვილთაშვილები მოუსმენენ. მამუკა ღლონტის ეს სიტყვები უტყუარი წინასწარმეტყველებაა.

- ირაკლიმ წარმოუდგენელი რამ შეძლო: - მან შეძლო, შეექმნა ნამდვილი ქართული როკი, „ნამდვილი“ - ეს ზუსტი სიტყვაა ამის აღსანიშნავად, იმიტომ რომ, არა მარტო მუსიკაა ორიგინალური, ძალიან ქართული და ძალიან ბუნებრივი, არამედ ტექსტიც არ არის კალკირებული... ყველა მისი სიტყვა, რომელსაც ის იყენებს, ძალიან ჟღერადია. წარმოუდგენლად ძნელი იყო ქართული როკის შექმნა. პრაქტიკულად, ეს ძალიან დიდი შრომის და ნიჭის ფასად განხორციელდა. მაგრამ, ამას გარდა, ეს იყო მუდმივი თავგანწირვის, მსხვერპლშეწირვის პროცესი, – ასე გამოხატავს ნინო ძადაგიძე-ჟვანია თავის დამოკიდებულებას ირაკლის შემოქმედების მიმართ.

- მოახდინა თუ არა გარდატეხა იმ პერიოდის მუსიკაში? - დიახ, რა თქმა უნდა, თავისი ყველასგან გამორჩეული სტილი შემოიტანა და არამარტო საქართველოში. არავის არ ბაძავდა, ეს მისი სიმღერა იყო თავისი ტექსტით, თავისი მიმართვით, თავისი ეპატაჟით, თავისი გამომწვევი მომენტებით, ამაში ხელს უწყობდა ხმის ტემბრი, იერი, მანერა. ეს ყველაფერი ერთიანად ძალიან საინტერესო სახეს ქმნიდა, იმის გარდა, რომ მსიამოვნებდა მისი მოსმენა, ჩემში ის პატივისცემის გრძნობას იწვევდა, რასაც ბევრზე ვერ ვიტყვი, – გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას კულტუროლოგი, კულტურის ყოფილი მინისტრი – გოგი ხოჭტარია.

კინორეჟისორი ზაზა ხალვაში კი ასე გამოხატავს თავის შეხედულებას:-ჩვენი ბოლო შეხვედრა უკვე თანამშრომლობის საფუძველზე მოხდა, სატელევიზიო ფილმს „მგლების ხორუმი“ ვიღებდი, მუსიკა ვთხოვე ფილმისთვის, კიდევ ერთხელ „გავაფრინეთ“ ერთად, დღეს სხვა დროა, ირაკლისავით ვერავინ „აფრენს“!

ირაკლის „გაფრენა “, მთელი მისი შემოქმედება და ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიცოცხლე ქართული გენეტიკით იყო გაჟღენთილი, ქართული სულით და მეობით. მისი ოჯახის შვილს, მისი მდგომარეობის პატრონს არასოდეს გაუჭირდებოდა ევროპაში ან ამერიკაში ცხოვრება. იქნებ იქ უფრო მეტადაც „გაეგოთ“ მისთვის, მაგრამ .... მოვუმინოთ ბატონ გელა ჩარკვიანს:-ირაკლის არაერთხელ უთქვამს, რომ აპირებს საზღვარგარეთ წასვლას და წასულა კიდეც, მე მას ამაში ხელს არ ვუშლიდი, პირიქით, შესაძლებლობისდაგვარად ვეხმარებოდი, ალბათ იმიტომ, რომ თავში არასდროს მომსვლია აზრი იმის თაობაზე, რომ იგი შეიძლებოდა დასავლეთში დარჩნილიყო. კარგად ვიცოდი მისი ბუნება, როგორიც არ უნდა ყოფილიყო დროდადრო მისი ექსცენტრიული პოზა, ირაკლი, სინამდვილეში, თავის ადგილს მხოლოდ ქართული საზოგადოების კონტექსტში ხედავდა და, თუმცა მის მიერ შექმნილი მუსიკა, პოეზია და პროზა, სრულად თავსებადია, თავსებადია თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციასთან, მისი შემოქმედება შეუცდომლად ქართულია, თბილისურ ფესვებზეა აღმოცენებული და უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქართული აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი. როცა ირაკლი წერდა, მას მსმენელად და მკითხველად ახალი საქართველოს ახალი თაობები წარმოედგინა. ისინი, ვინც მას ბოლომდე გაუგებდნენ.

წიგნში „ამბები მეფეზე” ბევრი ცნობილი ადამიანის აზრი და შეფასებაა დაფიქსირებული. საგაზეთო წერილში მას ვერ ჩაატევ, ამიტომ მკითხველს ვურჩევ, თავად წაიკითხოს და გაიცნოს ეს „უცნაური ბიჭი”. ვიმედოვნებ, აუცილებლად შეეცვლება აზრი და ის შეუყვარდება.

ასეთი სიყვარულის გამოხატულება იყო დარბაზშიც, სადაც დამსწრეთა დიდმა ნაწილმა არამხოლოდ წიგნიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე ისაუბრა, არამედ პირად დამოკიდებულებაზეც ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედების მიმართ, მის ოჯახზე. ზოგიერთმა პირადი ურთიერთობებიც გაიხსენა:

ოსმარ ჯავაშვილი, ინგლისური ენის პედაგოგი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი:

- 1974 წელს მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი უცხო ენათა ინსტიტუტში. მაშინ გელა ჩარკვიანი ახალი დაბრუნებული იყო ამერიკიდან და კომისიის თავმჯდომარედ დანიშნეს. მე ვიჩქარე და დავალება სასწრაფოდ, გაკრული ხელით დაწერილი ჩავაბარე გამომცდელს, რომელმაც ასე „შემაფასა“: შენი ბატიფეხურით სკოლაში როგორ აპირებ შესვლასო! მე შევეხვეწე, მაპატიეთ, ვიჩქარე, დამიბრუნეთ და ხელახლა დავწერ, კარგად წერაც შემიძლია - მეთქი. არაო, გადაირია. რომ აღარ მოვეშვი, მითხრა, აგერ ფანჯარასთან რომ კაცი დგას, იმას სთხოვეო. მივედი ბატონ გელასთან, გულდასმით მომისმინა და ნებართვაც მივიღე, მაგრამ, მისი სიტყვები-გახსოვდეს, აჩქარებით ბევრ შეცდომას დაუშვებო, ხშირად მახსენდება, რადგან ჩემი ემოციური და აჩქარებული ბუნების გამო არაერთხელ ჩავვარდნილვარ უხერხულობაში. შემდგომში ის ჩემი უსაყვარლესი ლექტორი იყო, რომელთან შეხვედრა დღესაც მენატრება. რაც შეეხება ირაკლის, ის ჩემთვის ნოვატორული აზროვნების ადამიანია, რომელმაც ახალი სამყარო შექმნა პოეზიაშიც და მუსიკაშიც.

ირაკლისნაირი პიროვნებები (თუმც ძალიან ცოტანი არიან) ტეხავენ შუშებს და სუფთა ჰაერი შეაქვთ უჟანგბადობაში. ირაკლისნაირები ფერს აძლევენ ნაცრისფერ, უსახურ გარემოს. აზროვნებას უცვლიან (ცდილობენ მაინც) კონსერვატორებს და მთვლემარეებს აფხიზლებენ. ირაკლიმ ცოტა იცოცხლა, ოღონდ ბევრი იცხოვრა... და ძალიან ბევრი რამ გააკეთა... ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო იარკლისთან ურთიერთობა, დიდი პატივია მასზე წერა.

ბასა ფოცხიშვილი

ქეთინო მჭედლიშვილი, **„ხალხთა მეგობრობის“ მუზეუმის დირექტორი:** - მე ძალიან მიყვარს ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედება, ის ღრმაა და შინაგან ემოციებს აღვივებს, ამასთან წინასწარმეტყველურია, მან თავისი ამ ქვეყნიდან ნაადრევი წასვლა და „მეფობა“ განჭვრიტა და სიცოცხლეშივე შეგვამზადა ამისათვის.

ლია გონაშვილი-მაისურაძე, **კულტურის სამსახურის სპეციალისტი**, - დღეს მივიწყებული კადრები გაცოცხლდა ჩემში, ირაკლი სულ მუდამ თანამედროვე იქნება ყველა თაობისთვის.

ცაცა ბენაშვილი, **სკოლა „ბენაურის“ დირექტორი,**- მოხარული ვარ , რომ ამდენი ინტელიგენტი ადამიანი დღეს ჩვენს სკოლაში შეიკრიბა და ასეთი ღრმაშინაარსიანი ღონისძიება გაიმართა. ორივე, მამაც და შვილიც, კანდიდ ჩარკვიანის შთამომავლები არიან და საინტერესოა, რომ კომუნისტური ჩარჩოების შეზღუდულ ოჯახში ეს ორი თავიუფალი სულის ადამიანი გაიზარდა. მათი მუსიკის და შემოქმედების გაგებას მაღალი ინტელექტი სჭირდება, ამიტომ ყველას არ ესმის.



თავისი აზრი გამოთქვეს აგრეთვე ქეთი მაჭარაშვილმა, ჯუმბერ უთირუთაშვილმა, კლარა ოზაშვილმა, ნაზი მოსაშვილმა, ნინო და მარიკა პოპიაშვილებმა და სხვებმა, რომლებმაც დადებითად შეაფასეს ჩატარებული ღონისძიება და მადლობა გადაუხადეს მის ორგანიზატორს ნანა ჭიჭინაძეს იმ უანგარო, ენთუზიაზმზე დაფუძნებული საქმიანობისათვის, რომელმაც არაერთი დასამახსოვრებელი და სასიამოვნო დღე აჩუქა თანამოქალაქეებს მსგავსი ღონისძიებების მოწყობით.

- მწიგნობართა ასოციაცია სამეურნეო წელს იწყებს წიგნის პრეზენტაციით და ამთავრებს ისევ წიგნის პრეზენტაციით. სწორედ ამით გამოვხატავთ ჩვენს ფუნქციას და დანიშნულებას. დავიწყეთ ანა კალანდაძით და დავამთავრეთ ირაკლი ჩარკვიანით. წელს ეს ჩვენი ბოლო ღონისძიებაა. წლის განმავლობაში სხვა მრავალი ინიციატივაც გვქონდა და არც მომავალ წელს ვაპირებთ უქმად ჯდომას. ერთი ისაა, რომ არავითარი ფინანსები არ გაგვაჩნია, არც ხელფასი მეძლევა და მთლიანად დამოკიდებული ვარ მოსახლეობის კეთილ ნებაზე. სპონსორის პოვნა ჩვენნაირ გაჭირვებულ ქვეყანაში ადვილი არ არის, მაგრამ, როგორც ხედავთ, არც შეუძლებელია. მცირე შემწეობის გაღებას ახერხებენ ის ადამიანები, ვისაც თავადაც არც თუ მთლად დალხენილი ცხოვრება აქვს. მადლობა ყველას, ვინც მთელი წლის განმავლობაში გვერდში ედგა მწიგნობართა საზოგადოებას, ვინც წიგნიერების ფასი იცის, მადლობა თქვენ ყველას, ვინც სისტემატურად მონაწილეობთ ჩვენს ღონისძიებებში, გვისმენთ და გვამხნევებთ.

ღონისძიება დამთავრდა. ალა-ფურშეტი, რომელიც ორგანიზატორებმა დამსწრეთ შესთავაზეს, დიდხანს გაგრძელდა. მათ სანთელი აუნთეს და ჭიქა ღვინოს თავი წაუქციეს ირაკლის სულის საოხად. არავის მობეზრდა ხელოვნებაზე, პოეზიაზე, ლიტერატურაზე საუბარი, საკუთარი აზრის გამოთქმა, წარსულის გახსენება და უკეთეს მომავალზე ოცნება.

ნაირა გორაშვილი

მიწები, გვალვისგან მიყენებული ზარალი და ფერმერთა გასაჭირი

გვიანი შემოდგომაა და საცაა, ზამთარიც შემოაღებს კარს. შირაქშიც თოვლს ჩამოყრის (თუ ჩამოყარა) და მყუდროება დაისადგურებს,რამდენიმე თვე ხმაურიც შეწყდება, მხოლოდ ყვავ-ყორნების ხმასღა თუ გავიგონებთ იქ, თუმცა მადლიანი მიწის ქვეშ სიცოცხლე გაგრძელდება, თოვლის საფარის ქვეშ თავის საქმეს გააკეთებს გლეხი კაცის მიერ ჩაგდებული მარცვალი, მარცვალი, რომელიც გაზაფხულზე თავის ნაყოფს გამოიღებს, ყანას ააბიბინებს!.. თუმცა, დამუშავდა თუ არა მიწის ნაკვეთები და დაითესა თუ არა ხორბალი შირაქის ველებზე, ეს ნამდვილად საკითხავია. წელს ნაადრევად აგვიცივდა, თუმცა შემდეგ გაზაფხულივით მზეები დაიყენა, ვერც კი გავიგეთ, ისე გაირბინა შემოდგომამ, ამიტომაც არ ვიცით კარგად, რა ჩაყარა გლეხმა შირაქის მიწაში, ეს თემა საკითხავი ნამდვილად არის, რადგან იქ დათესილ-მოყვანილზე ნამდვილადაა დამოკიდებული ჩვენი ოჯახების მომავალი ეკონომიკური მდგომარეობა.

როგორც გავიგეთ, წელს ძალიან მცირე ნიადაგია მოხნულ-დათესილი. ესაა ჩვენი დღევანდელი რეალობა. რატომ? - კითხვაზე ფერმერები უკუკითხვით გვპასუხობენ: - „წლევანდელი გვალვიანობის გამო, დედოფლისწყარო სტიქიური უბედურების ზონად აღიქმებოდა. ფაქტია, ხალხმა ერთი მარცვალიც ვერ ავიღეთ ნაკვეთებიდან, რით უნდა მოგვეხნა და დაგვეთესა, როცა საშინელი ზარალი ვნახეთ? მიწის გაყიდვა რომ გეწადოს, ან გაქირავება, ესეც გაჭირდა, ქირავნობა და ყიდვა არავის სურს. იშვიათები არიან, ვინც ამუშავებენ, ძირითადად რამდენიმე ფერმერი ტრიალებს შირაქში და თუ გაგიმართლა და მათ იქირავეს შენი ნაკვეთი, ხომ რა კარგი, თუ არადა, იმ წლის გადასახადი საიდანმე უნდა მოიტანო. წარმოდგენა არ მაქვს, ეს დარგი როდისმე წამოდგება ფეხზე თუ არა. ამაზე ახლა ყველაზე ნაკლებადღა ვფიქრობ, მთავარი ახლა თვითგადარჩენაა, ბანკებმაც შეწყვიტეს კრედიტების გაცემა. არავინ ფიქრობს, რით დავთესოთ, რა მოვიყვანოთ, თუ სახელმწიფო რაღაცით არ დაგვეხმარა?! ამ ზაფხულს, როცა ყველამ ნახა, რომ მოსავალი საერთოდ არ მოვიდა, გაზეთში დაიბეჭდა ჩვენი გამგებლის ბატონი ნიკოლოზის კომენტარი, ის ამბობდა, რომ იგეგმებოდა მიწის გადასახადისგან გლეხის გათავისუფლება და ძალიან გაგვიხარდა, მაგრამ აგერ 15 ნოემბერი კარს მოგვადგა და არავითარი შეღავათი არ ჩანს, კანონში კი, გვიწერია, თუ 15 ნოემბრამდე არ გადავიხდით მიწის გადასახადს, მასზე საურავი დაგვერიცხება. მიწის გადასახადი გადავიხადოთ ზარალის პირობებში, თუ ნათესი მოვიყვანოთ, ვეღარ გავრკვეულვართ, პირადად ნაკვეთის ნაწილი დაუმუშავებელი დამრჩა, გადასახადის გადახდის საშუალებაც წლევანდელმა მოუსავლიანობამ არ მომცა. ძალიან ვნერვიულობ და გთხოვთ, რომ თქვენ მაინც გაგვირკვიოთ და გაზეთში დაწეროთ, უნდა ველოდოთღა თუ არა რაიმე შეღავათს!“-კითხულობს ფერმერი გივი პოპიაშვილი.

-„60 ჰექტარი მიწა მაქვს, ისეთი მადლიანი და ნაყოფიერი ნიადაგია, რომ რა გითხრათ, მაგრამ წელს ორი ტონა მოსავალი ძლივს ავიღე 40 ჰექტარში, არც მზესუმზირის მოსავალმა გაამართლა. სულ მინდორში ჩადნა და ჩაიწვა ყანები, ზარალი ძალიან დიდი მომადგა, მძიმეა ჩვენი, ფერმერების მდგომარეობა, ეს პირდაპირ სტიქიური უბედურება იყო, ამაზე წესით რაიმე დახმარება უნდა ყოფილიყო, მაგრამ... ახლა საშემოდგომო სამუშაოები უკვე გვიანაა, თუ ვინმემ მოახერხა დათესა, ისიც 20-30 პროცენტი, დანარჩენი მიწები სულ ისე ყრია, ერთხანს ვიფიქრე, ბანკის კრედიტი ავიღო - მეთქი, მაგრამ გრძელვადიან კრედიტებსაც აღარ იძლევიან, ნაწილი მიწა გავაქირავე და ნაწილზე ნასესხები ხორბალი დავთესე, რომ არ გამიმართლოს და ვალით აღებული მარცვალი ვერ ჩავაბარო პატრონს, ნეტა რა მეშველება, არ ვიცი!“-ამბობს ფერმერი მერაბ რობიტაშვილი.

-„ამ დროისთვის დამუშავებულია დედოფლისწყაროში არსებული სავარგულების 30-35%, რაც ძალიან ცოტაა და ასეთი რამ 90-იან წლებშიც არ მახსოვს. ამას დაემატა ისიც, რომ ბანკების ინფორმაციით სოფლის მეურნეობის სააგენტომ გააჩერა იაფფასიანი კრედიტის გაცემა. რა ფართობებიც დაითესა, იქაც საეჭვოა კრედიტის არ გაცემის შემთხვევაში ფერმერებმა სასუქი და ჰერბიციდები შეიტანონ.“-ამბობს ჩვენთან საუბარში ფერმერი, სოფლის მეურნეობის ექსპერტი გელა თეთრაული.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ზაფხულის პერიოდში ასობით ფერმერის განცხადება შევიდა ადგილობრივი ხელმძღვანელობის სახელზე, სადაც ისინი აცნობებდნენ საკუთარ ნაკვეთებში გვალვით მიყენებული ზარალის შესახებ. შეიქმნა ზარალის შემსწავლელი კომისიაც, რომელმაც დაითვალა ზარალი, კომისიამ მისი მუშაობის შედეგები აცნობა როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ეკონომიკის სამინისტროს და სხვა მაღალ ინსტანციებს, თუმცა ვხედავთ, რომ მოთხოვნები უშედეგო აღმოჩნდა. - რა წერილობითი ცნობა გაიგზავნა დედოფლისწყაროდან და რა მოჰყვა შედეგად ამ წერილს? -ეს საკითხი ყოველი დედოფლისწყაროელი ფერმერის ინტერესში დევს. მით უმეტეს, რომ საინფორმაციო სააგენტოების მიერ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სიღნაღის რაიონმა გვალვისგან მიყენებული სტიქიის გამო წელს 300 000 ლარი მიიღო. მართალია, შემდეგ გაირკვა, რომ ეს ცრუ ინფორმაცია გახლდათ და სიღნაღს ამ რაოდენობის თანხა საკრებულოს მოთხოვნის საფუძველზე ჩაერიცხა, მაგრამ საკრებულო როგორ გამოიყენებს აღნიშნულ თანხას და საით წარმართავს, ეს უკვე მისი პრეროგატივაა.

აქვე გაცნობებთ, რომ ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ხელმძღვანელმა ირინე ფხოველიშვილმა საქართველოს პარლამენტს, პრემიერს და პრეზიდენტს წერილი გაუგზავნა. წერილში მოყვანილი ფაქტებით ფერმერთა ასოციაციამ ფერმერების მდგომარეობისა და მოთხოვნების შესახებ საქმის კურსში თითქმის ყველა ინსტანცია ჩააყენა. გთავაზობთ ფერმერთა ასოციაციის მიერ მთავრობაში, პარლამენტში და პრეზიდენტთან გაგზავნილი წერილის ამონარიდს: - „დღეისთვის სიღნაღის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში მთლიანად და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ნაწილში მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, განადგურებულია საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურები, გახმა ვენახები და სხვა მრავალწლიანი ნარგავები, დაიხოცა ფუტკარი, გვალვისგან გადამხმარი საძოვრების გამო მძიმე მდგომარეობაშია მეცხოველეობა, რასაც დაერთო საკვების ნაკლებობის გამო დაკნინებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გახშირებული სიკვდილიანობა ახალი ინფექციური დავადების გამო, ძნელად საშოვნელი გახდა სათესლე მასალა. ფაქტობრივად, კახეთის რეგიონის ამ მუნიციპალიტეტებში სახეზე გვაქვს მკვეთრად გამოხატული სტიქიური უბედურება, რისი აღიარებაც სამწუხაროდ არ ხდება. შესაბამისად არც დაზარალებული ფერმერებისთვისაა რაიმე შეღავათი, თუ არ ჩავთვლით პარლამენტში პრემიერ-მინისტრის ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას, რომ დაზარალებული მუნიციპალიტეტის ფერმერები გათავისუფლდებოდნენ მიწის გადასახადიდან, რაც მხოლოდ სიტყვიერი განაცხადის დონეზე დარჩა და არ მიიღო პრაქტიკული სახე“, - ნათქვამია მიმართვაში. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტისთვის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოყოფილი 300 ათასი ლარიანი დახმარება პრობლემას ვერ მოაგვარებს, რადგან გვალვისგან დაზარალებულ რაიონს 1 991 000 ლარი მაინც სჭირდება.

-უნდა გადაიხადონ თუ არა მიწის გადასახადი ფერმერებმა 15 ნოემბრამდე?! - ეს ის კითხვაა, რომელიც ჩვენს ხალხს აწუხებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილს ვესაუბრეთ. იგი აცხადებს, რომ ეს არასწორი ინფორმაციაა, არცერთ რაიონს არ მიუღია სტიქიისგან მიყენებული ზარალის გამო არაფერი, გამომდინარე აქედან სიღნაღიც არ იქნებოდა გამონაკლისი, გავრცელებულ ინფორმაციაზე ჯავახიშვილი არ გამორიცხავს, რომ ხსენებული თანხა სულ სხვა დანიშნულებისთვის ჩაერიცხა მეზობელი რაიონის საკრებულოს. რაც შეეხება მიწის გადასახადისგან გათავისუფლებას, ამაზე ჯავახიშვილმა ცალსახად და დამაჯერებლად გაგვცა პასუხი, რომ გადასახადის მოხსნა არ იგეგმება და არც გადასახადის ამ შემთხვევის გამო რამდენიმე პროცენტით შემცირებაა მოსალოდნელი.

-„მინდა დანამდვილებით გითხრათ, მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა და მცდელობისა, მიწაზე გადასახადი არ მოიხსნა და ის ჩვეულებრივად უნდა გადაიხადონ ფერმერებმა, რაც შეეხება რაიმე ფორმით დახმარებას, სოფლის მეურნეობის კუთხით, ვიმედოვნებ, რომ დახმარება იქნება, თუმცა როგორი და რა ფორმით, ეს ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია!“-განაცხადა დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარემ ჩვენთან საუბარში.

დღესდღეობით დედოფლისწყაროს სახნავ- სათესი მიწების მხოლოდ 35 % -ია დამუშავებულ-დათესილი და მასზე დახმარება უკვე გვიანია. მოსახლეობას იმედი აქვს, რომ სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას აუცილებლად მიიღებს და საგაზაფხულო ნათესებზე მაინც წაადგება ის აქაურ მიწათმოსარგებლეებს.მომავალი დახმარების მიღების იმედი ნუგეშის მიმცემია მათთვის.

ლალი მეხრიშვილი

ცა იღრუბლება საწვიმრად...

ამ დღეებში დედოფლისწყაროს №2 საბავშვო ბაგა-ბაღმა შემოდგომის ზეიმი აღნიშნა, დარბაზი სეზონის შესაფერისადაა მორთული,- საწნახელები, ურემი, ყურძენი, მოწნული კალათები, უთვალავი ხილი და გოგრები, მოკლედ ენკენისთვის ხვავი და ბარაქა სულ აქ მოუტანიათ მშობლებს და პედაგოგებს იმისთვის, რომ მათმა პატარებმა უკეთესად შეიგრძნონ ამ სეზონის ხიბლი. მე აღნისნული ბაღის 3-4 წლიან ბავშვთა ჯგუფის ზეიმს ვესწრები, მათი პედაგოგი ქეთევან გიგოლაშვილი გახლავთ, თანაშემწე - ეკა გიგაური. ჭრელი წინსაფრებით და თავსაფრებით დამშვენებული გოგონები და გლეხი კაცის ფორმებში გამოწყობილი დაკონკილ შარვლიანი ბიჭები საბავშვო ბაღის სცენის დარბაზს იკავებენ. ისინი შემოდგომის ხმელი, მაგრამ ლამაზფერად შეფერადებული ალვის ხეების ფოთლების შრიალით ხელში შემოდიან დარბაზში და თავი ეხსნება ქართული პოეზიის საგანძურში დაბუდებულ ცნობილი პოეტების ლექსებისა თუ სიმღერების ჯადოსნურ გუდას. სულს მალამოდ ეფინება შემოდომის თემაზე წარმოთქმული ლექსები, მით უმეტეს, თუ მას თვალხატულა გოგო- ბიჭები წარმოსწთქვამენ:

„ცა იღრუბლება საწვიმრად,
ისმის ზუზუნი ქარისა,
ტყე დაღვრემილა, ყვითლდება,
სიმწვანე მთა და ბარისა.
მზე იმალება მარტოკა,
ღრუბლებსღა ვხედავ ცაზედა
და აგერ შემოდგომის დღეც,
მოგვჩერებია კარზედა!“

- ანა კალანდაძის ამ ლექსით იხსნება კონცერტი,

ლექსებს წარმოსთქვამდნენ აგრეთვე დავით და გიორგი ალადაშვილები, დაჩი ბუაძე, გეგა გიგოლაშვილი, დაჩი ზოროღლიანი, გვანცა ზურაშვილი, ნინი თეთვაძე, ნინო თედეშვილი, სალომე იაკობიშვილი, ანამარია ლეკაშვილი, ანჟელა ისიპოვი, იოანე სესიტაშვილი, ლუკა სეხნიაშვილი, მარიამ ტალიაშვილი, ლუკა ქენქაძე, გიორგი ღვედაშვილი, მარიამ ყაჭაშვილი, ნინი ყაზარაშვილი, სალომე შეითნიშვილი, ლიზი ჭოტაშვილი, გიორგი და ნიკა ჭუჭულაშვილები, ნუცა უძილაური და ნატალი მადოიანი. ლექსები, რომლებიც მასწავლებელს გემოვნებიანად ჰქონდა შერჩეული, თემატურად ეხმაურებოდა შემოდგომას და ამ მხრივ შემეცნებითი გახლდათ. პატარებს უკვე კარგად შეუსწავლიათ, რომ შემოდგომით კაკალს ბერტყავენ, ადუღებენ თათარას, რომ ვენახს კრეფენ, ქვევრებს რეცხავენ და ყველა ხილი ამ დროს მწიფდება, „ამიტომაც სავსეა კალათი და გოდორი, ამიტომაც ირევა ცაში ოქროს ფოთოლი!“

სიმღერაც არანაკლები დაამღერეს, ეს ყველა ბავშვისთვის დაუვიწყარი, ტკბილი და ძალიან მოტივირებული სიმღერა გახლავთ : „ერთხელ დილით ბებომ ძაფზე, ნიგვზის მძივი აასხა, მერე ცეცხლზე ქვაბი შედგა, შიგ ბადაგი ჩაასხა.“

ღონისძიებას არც ხიბლი აკლდა და არც მცდელობა, იმისთვის, რომ ლამაზი და დასამახსოვრებელი გამოსულიყო, თუმცა პატარები თავისი ცრემლების კვასკვასით ხელს უშლიდნენ ქეთი მასწავლებელს და მუსიკის პედაგოგს აზა ლაპიაშვილს, რათა თავიანთი ნაღვაწი მშობლების წინაშე კარგად წარმოედგინათ. მიუხედავად ამისა, არაფერი არ დაჰკლებია პატარა სცენარისტებს, რომ ეს უბრალო კონცერტი დიდ დღესასწაულად გადაექციათ. ეს უბრალო კონცერტი როდის გახლდათ, აქ ჩვენი ეროვნული საგანძური ქართული ცეკვა გადმოიტანეს სცენაზე და ისე შეასრულეს, როგორც ამ დიდებულ ცეკვას ეკადრებოდა!

ღონისძიება დასასრულს მიუახლოვდა, ქეთევან გიგოლაშვილი პატარებისთვის დათაფლულ სიტყვებს არ იშურებს და ამ პატარა ანგელოზების სახელით პირობას იძლევა, რომ რამდენიმე თვეში გაიზრდებიან, ცრემლებს მოიშორებენ და ბევრად უფრო თავდაჯერებულები დაიპყრობენ საბავშვო ბაღის სცენას.

აღნიშნულ კონცერტს დედოფლისწყაროს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრიდან ეკატერინე გორგაძე, მაია ყოჩიაშვილი, ირმა იაკობიშვილი, ნინო კვიწინაშვილი და მაია ცოგოშვილი ესწრებოდნენ.

ლალი მეხრიშვილი

შემოდგომაა, შემოდგომაა...

საშემოდგომო ფერებით მორთულა სამრეკლოს საბავშვო ბაღის დარბაზი-ტრადიციული ქართული ფარდაგის ფონზე აქეთ ქვევრი წამოგორებულა, იქეთ გოდორი და ხილით სავსე კალათები იწონებენ თავს, სპილენძის ძველებურ ქვაბში თათარა თუხთუხებს. დღეს აქ 4-5 წლიანთა ჯგუფის საშემოდგომო ზეიმია. დარბაზში მშობლებთან და პაპა-ბებიებთან ერთად სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომლები ნინო კვიწინაშვილი და მაია ცოგოშვილიც გულშემატკივრობენ პატარებს, რომლებიც თავს არ ზოგავენ, თავი მოიწონონ ლექსის თქმასა თუ ცეკვა-სიმღერაში. სალომე პოპიაშვილმა და მარი ბოსტაშვილმა შეასრულეს ინსცენირება „ვაზი და ღვინო“, აქტიურობით გამოირჩეოდნენ დათო ტალიაშვილი, თემურ და ელენე გოგილაშვილები, ნუკი სისაური, შოთიკო ყოჩიაშვილი, ნინი ანდრიაშვილი და სხვები. ზეიმი ბავშვებმა დაასრულეს ვედრებით: „მაშ დაგვლოცე სამომავლოდ, ღვთისმშობელო მარიამ“. დალოცვილები იყავით, დალოცა ბავშვები ბაღის დირექტორმა მაკა ზურაშვილმა და მადლობა გადაუხადა აღმზრდელებს ია გელაშვილს და ეკა ბერიაშვილს, მუსიკის მასწავლებელს მაია ლეკაშვილს მაღალ დონეზე მომზადებული ღონისძიებისთვის და სტუმრებს, რომლებმაც გაიზიარეს ბავშვების სიხარული.

ნაირა გორაშვილი

ყურძნის ლალზე ცვარი ბრწყინავს

კვლავ ოქროსფერი შემოდგომის ზეიმს უმასპინძლა №2 საბავშვო ბაგა-ბაღმა. ამჯერად ჩვენს წინაშე 4-5 წლიანი ბავშვთა ჯგუფი წარმოდგა. ღონისძიებაზე აქაც ბავშვთა სისადავეს და უბრალოებას ეთმობოდა ყურადღება, რაც უპირველეს ყოვლისა მათ ჩაცმულობაში გამოიხატებოდა. თეთრ პერანგებზე და შავ ქვედა საცმელებზე მორგებული გლეხური წინსაფრები და თუშური ქუდები პატარებს ძალიან შვენოდათ. ამას ზედ მათი სითამამე და სილაღე ერთვოდა, რაც ღონისძიებას უფრო მხიარულს და საზეიმოს ხდიდა. დიახ, ამ ასაკის ბავშვები უკვე თავდაჯერებულები გახლდნენ და თამამად ყვებოდნენ, რომ შემოდგომით აცივდა, ფრინველები თბილ ქვეყნებში გაემართნენ, ხოლო ქვევრებში ჩაწურული ბადაგი დადუღდა და დაღვინდა.

„დღემ იკლო, ღამე გადიდდა,
გრილა გაუვითლდა ტყე-ველი,
ჩამოსდით ხეებს ფოთლები,
ყვირის ბუ ღამისმთეველი.
დამჭკნარ-გამხმარა ბალახი,
ყვავილიც არსად კრიალებს
და სუნი შემოდგომისა
მთასა და ბარში ტრიალებს.“

ყველაზე საინტერესო და მომხიბვლელი ამ ბავშვების ღონისძიებაში ის გახლდათ, რომ ისინი გუნდ-გუნდად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს წარმოადგენდნენ. მათთვის სპეციალურად მოწყობილი გახლდათ მაგიდები და თავიანთი კუთხის შესაფერის მაგიდასთან იკალათებდნენ. თავდაპირველად სვანები წარმოგვიდგნენ სვანური ცეკვით, მათ გურულები, რაჭველები და მეგრელები შემოუერთდნენ. თითოეული კუთხე თავისი მხარისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სიმღერით და ცეკვით წარმოაჩინეს ბავშვებმა. ძალიან მოუხდათ პატარებს ძველი ხალხური ფოლკლორული სიმღერის -„მივალ გურიაში განა!“-გახმოვანება, რაც ჩემი აზრით საბავშვო სიმღერების ახალი შენაძენად უნდა ჩაითვალოს. რაჭველებმა კი -„ტაში ბიჭი გიორგუნა“ ჩამოუარეს და თან სიმღერაც დააყოლეს. კონცერტი ძირითადი სცენარით ვითარდებოდა, სადაც ჩართული იყო ამერიკელი ბიჭუნა, რომელიც ფოტოაპარატით ხელმომარჯვებული დადიოდა ჩვენი ქვეყნის კუთხეებში. მოხიბლული ამერიკელი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა და თავის შთაბეჭდილებებს ჩვენს წინაშე აფრქვევდა. ყველაზე ბოლოს, დინჯი და მუდამ გაწონასწორებული კახელები წარმოჩინდნენ, რომელიც ღონისძიების ყველაზე ამაღელვებელი და კულმინაციური მომენტი გამოდგა. ლოგიკურიცაა ჩვენი მრავალჭირნახული ბერმუხა კახეთი, რომელიც ოდითგან უამრავი მტრის შემოსევას უმკლავდებოდა, ემოციის გარეშე ვერ შეიჭრებოდა მაყურებლის გულში. პატარებმა ისე ჩაგვითრიეს ლამაზ სცენარში, რომ მღელვარებით ველოდით, თუ როგორ წარმოგვიდგენდნენ ოდითგან ძლიერ, ყველაზე საიმედო დასაყრდენს და საქართველოს მთავარ ძარღვს,- ჩვენს უკვდავ კახეთს ეს პაწია მეგობრები. და აი, კახელებმა ჩვეული სიდინჯით „ღვინოვ კახურო“ დააგუგუნეს. შემდეგ კი, რამდენიმე წყვილმა მომხიბვლელი „დაისი” ჩამოუარეს.

ამ მშვენიერი, პატრიოტული სულისკვეთებით გაჯერებული ღონისძიების ავტორი 4-5 წლიან ბავშვთა ჯგუფის პედაგოგი თამარ ალადაშვილი და მისი თანაშემწე შორენა ალულიშვილი გახლდათ, რომლებიც მუდამ გამოირჩევიან თავისი ხელწერით და გონივრული, ორიგინალური ხედვებით ბავშვთა აღზრდის საკითხებში. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა მუსიკის პედაგოგი აზა ლაპიაშვილი, რომელსაც მართლაც ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის აღნიშნული ბაღის არაერთი თაობის მუსიკალურ აღზრდაში.

წარმატებები №2 ბაგა-ბაღს!

ლალი მეხრიშვილი

ნუ დატოვებთ უყურადებოდ!

13 ნოემბერი დიაბეტის საერთაშორისო დღეა. შაქრიანი დიაბეტი, დღეს-დღეობით, მეტად გავრცელებული, სოციალური დაავადებაა, რომელიც ფართო გავრცელებასთან ერთად, დიაბეტური გართულებების გამო, მზარდი ინვალიდიზაციის მიზეზსაც წარმოადგენს. მოსახლეობის უმრავლესობა თვალყურს არ ან ვერ ადევნებს საკუთარ ჯანმრთელობას- ხან უსახსროების, ხან დაუდევროების, ხშირად კი უცოდინაროების გამო. ამიტომ, ვფიქრობთ, უპრიანი იქნება, საზოგადოებას თანმიმდევრულად მივაწოდოთ ინფორმაცია, აღნიშნული დაავადების არსის, მისი გართულებების და მკურნალობის შესახებ.

თემაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ ექიმი-ენდოკრინოლოგი **მარინა მეხრიშვილი:**

- ქალბატონო მარინა, რომელი ორგანოს მუშაობაზეა დამოკიდებული შაქრიანი დიაბეტის განვითარება?

- ეს კუჭუკანა (კუჭქვეშა) ჯირკვალი, ანუ პანკრეასი გახლავთ.

- როგორ მუშაობს ჯანმრთელი ადამიანის კუჭქვეშა ჯირკვალი?

ადამიანის ორგანიზმი შედგება მილიონობით უჯრედისაგან. უჯრედების ძირითად საკვებ ნივთიერებას გლუკოზა (შაქარი) წარმოადგენს.

გლუკოზა ორგანიზმში ხვდება საკვებიდან, ან ღვიძლიდან (სადაც გროვდება მარაგის სახით). გლუკოზის შეღწევა უჯრედის შიგნით შესაძლებელია მხოლოდ ინსულინის დახმარებით. ინსულინი ჰორმონია, რომელსაც გამოიმუშავებს კუჭუკანა ჯირკვალი (პანკრეასი). ის ეხმარება შაქარს, შეაღწიოს უჯრედის შიგნით (ანუ ინსულინი არის „გასაღები“, რომელიც ერგება უჯრედს), რის შედეგადაც სისხლში გლუკოზის დონე ნორმის ფარგლებში ნარჩუნდება.

- როგორია ტიპი-2 შაქრიანი დიბეტის განითარების მექანიზმი?

-ტიპი-2 შაქრიანი დიაბეტის დროს კუჭუკანა (კუჭქვეშა) ჯირკვალი გამოიმუშავებს ინსულინს, მაგრამ ჭარბი ცხიმოვანი ქსოვილი ხელს უშლის ინსულინს ნორმალურ მუშაობაში, შედეგად შაქრის ზედმეტი რაოდენობა გროვდება სისხლში და იმატებს მისი მაჩვენებელი. დროთა განმავლობაში კუჭქვეშა ჯირკვალი იფიტება და ორგანიზმში ვითარდება ინსულინის დეფიციტი.

-როგორია სისხლში შაქრის ნორმალური მაჩვენებლები?

- უზმოდ (საკვების მიღებამდე) 3,3-5,5 მმოლ/ლ. კვებიდან 2 საათის შემდეგ 7,8 მმოლ/ლ-მდე.

სისხლის შაქრის დონის მომატებას ჰიპერგლიკემია ეწოდება. ჰიპერგლიკემიის ნიშნებია:

- ხშირი შარდვა;
-გაძლიერებული წყურვილის გრძნობა;
-კანისა და ლორწოვანი გარსების სიმშრალე;
-საერთო სისუსტე;
-ძილიანობა;
-წონაში დაკლება;
-ჭრილობების ძნელად შეხორცება;

50%-ზე მეტ შემთხვევაში არანაირი სიმპტომი არ აღინიშნება.

გახსოვდეთ!!!

ტიპი-2 შაქარიანი დიაბეტის დროს დაავადების სიმპტომები შეიძლება „წაიშალოს“, რადგან სისხლში შაქრის დონე თანდათანობით იმატებს და ორგანიზმი იწყებს ამ მდგომარეობასთან შეგუებას.

- რატომ უნდა გავაკონტროლოთ სისხლის შაქრის დონე?

შაქრის რეგულარული კონტროლი არის, როგორც შაქრიანი დიაბეტის წარმატებული მკურნალობის, ისე ამ დაავადების გართულებების პროფილაქტიკის გარანტი.

შაქრიანი დიაბეტის გართულებები- ეს ხის ფოთლებია, რომლებიც მით უფრო სწრაფად იზრდება, რაც უფრო მაღალია სისხლის შაქრის დონე.

- რა სიხშირით უნდა შევამოწმოთ სისხლის შაქრის მაჩვენებლები?

- რამდენჯერმე კვირაში (დროის სხვადასხვა მონაკვეთში).

- სასაურველია, ორჯერ თვეში განისაზღვროს გლიკემიური პროფილი (შაქრის განსაზღვრა სისხლში 4-6 ჯერ ერთი დღის განმავლობაში: ჭამის წინ და ჭამიდან 2 სთ. შემდეგ)

- გლუკოზის სამიზნე მაჩვენებელი სისხლში- ეს გლუკოზის ის დონეა, რომელიც ყოველთვის უნდა შევინარჩუნოთ, რათა თავიდან ავიცილოთ შაქრიანი დიაბეტის გართულებები.

სისხლის შაქრის მაღალი მაჩვენებლის დროს თირკმელებიდან იწყება გლუკოზის ჭარბი რაოდენობის გამოყოფა, ანუ სისხლის გლუკოზის მაღალი მაჩვენებელი (9-10 მმოლ/ლ-ზე) ასევე განაპირობებს შარდში გლუკოზის მაღალ მაჩვენებელს.

შარდის საშუალებით გლუკოზის გამოყოფისას ორგანიზმი კარგავს იმ ძვირფას ენერგიას, რომელიც უჯრედების კვებისთვისაა აუცილებელი.

- რა არის გლიკოჰემოგლობინი?

იმის მიხედვით, თუ როგორ იმატებს სისხლის შაქრის დონე, გლუკოზის სულ უფრო მეტი რაოდენობა უერთდება ჰემოგლობინს-წარმოქმნილ ნაერთს გლიკოჰემოგლობინი ეწოდება.

- რატომაა მნიშვნელოვანი მისი განსაზღვრა?

გლიკოჰემოგლობინის განსაზღვრით სისხლში ფასდება სისხლის შაქრის დონის საშუალო მაჩვენებელი გასული 3 თვის განმავლობაში. შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის სწორი ტაქტიკის შესარჩევად გლიკოზირებული ჰემოგლობინის ტესტის განსაზღვრა წელიწადში 2 -ჯერ მაინც აუცილებელია.

თუ თქვენ გლიკოზირებული ჰემოგლობინის სამიზნე დონეს მიაღწევთ, შეამცირებთ შაქრიანი დიაბეტის გართულებებს.

- რა არის შაქრიანი დიაბეტის გართულებები?

ხანგრძლივი დროის განბავლობაში სისხლში მომატებულმა შაქარმა შეიძლება გამოიწვიოს გართულებები: ზიანდება გული, სისხლ-ძარღვები, თვალები, თირკმელები. გულისა და სისხლძარღვების დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ინფარქტი და ინსულტი.

თქვენ შეგიძლიათ, თავიდან აიცილოთ ან შეამციროთ დიაბეტური პრობლემები, თუ გაიკონტროლებთ:

სისხლში შაქრის დონეს, არტერიულ სისლის წნევას, სისხლში ქოლესტერინის შემცველობას, სხეულის წონას, წელის გარშემოწერილობას, წელიწადში ერთხელ მაინც გამოიკვლევთ თვალის ფსკერს, წელიწადში ერთხელ მაინც შეამოწმებთ შარდში ცილის შემცველობას. (ტესტი მიკროალბუმინურიაზე) წელიწადში ერთხელ მაინც ჩაიტარებთ ქვედა კიდურების – ტერფების გამკვლევას.

გახსოვდეთ, შაქრიანი დიაბეტის მოვლა უპირველესად ნიშნავს სწორი ცხოვრების წესს.

ძვირფასო მკითველო, ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ საუბრებს შაქრიანი დიაბეტის შესახებ, იმედია, თქვენთვის საინტერესო თემას შევეხეთ. მოგვწერეთ, ან დაგვიკავშირდით თუ რაიმე შეკითხვა გაგიჩნდებათ. ჩვენი კონულტანტი, ქალბატონი მარინა მეხრიშვილი ამომწურავ და კვალიფიციურ პასუხს გასცემს ყოველ თქვენს კითხვას.

ნაირა გორაშვილი

დავით (უფლისა) ოზბეთელაშვილი

2006 წლის 13 ნოემბერი ჩვენი ოჯახისთვის მძიმე დარტყმა იყო, შენი სახით ოჯახს საძირკველი გამოეცალა, რადგან შენ იყავი მთელი ჩვენი ცხოვრება. მიუხედავად ჩვენი მრავალი მცდელობისა, ვერ გიშველეთ, ვერ გიშველა შენმა სახელმაც, შენ ხომ „უფლისა“ გერქვა... ჩვენც უძლურნი აღმოვჩნდით სიკვდილის წინაშე. არც ძალიან ახალგაზრდა იყავი, მაგრამ არც მოხუცი, ამიტომ დიდი ტკივილი დაგვიტოვე. შენ იყავი სიკეთით სავსე ადამიანი, უხვად რომ ჩუქნიდი ყველას დიდ სითბოსა და სიყვარულს. წახვედი ჩვენგან, მაგრამ გვეამაყება, რომ კაცური კაცის სახელი დატოვე... გიყვარდა ოჯახი, მეგობრები.... მადლობა იმისთვის, რომ კარგი შვილები დამაზრდევინე, უყვართ შრომა და მშობლებისა და ოჯახის პატივისმცემლები არიან. გვეამაყება, რომ ყველანაირად ვალმოხდილი წახვედი ამქვეყნიდან. 13 ნოემბერს, შენს დაბადების დღეზე მოვალთ შენს სამუდამო განსასვენებელთან, დაგინთებთ სანთლებს და გაჩუქებთ ცრემლებს, რომლებიც გულწრფელად გეკუთვნის ჩვენგან.

შენი სურათი კედელს ამშვენებს,
ლარნაკებში კი ყვავილებია,
შენი ღიმილი მე მაიმედებს
და თითქოს მუდამ ჩემს გვერდითა ხარ.
მე ისევ მესმის წარსულის კვნესა
და ჩემს ფიქრებსაც სიჩუმე ათრობს.
მოწყობილ საფლავს ვიგონებ შენსას,
სადაც, ძვირფასო, გძინავს და გათოვს.

ქეთევან ბოსტაშვილ-ოზბეთელაშვილი ოჯახით.

ხსოვნა

სპარტაკ (თამაზ) ცქიტიშვილის ხსოვნა



5 წელი გავიდა, ჩემო სპარტაკ, შენი წასვლიდან, რომ იცოდე როგორ დაგვწყვიტე გული, როგორ გაფერმკრთალდა უშენოდ ჩვენი ცხოვრება, უშენოდ ფრთამოტეხილი ჩიტის ბუდეს ჰგავს შენი დანატოვარი ოჯახი. დაცარიელდა ჩვენი ეზოყურე, შენი შექმნილ-ნაწვალები სახლ-კარი. შენ ხომ ხმაური და სტუმარი გიყვარდა, სპარტაკ! ჩვენი შვილები დღითიდღე იზდებიან და მრავლდებიან, სამივე ქალიშვილს შვილები ჰყავს, ვერ მოესწარი იმ ბედნიერ წუთებს, როდესაც მადონას მეორე შვილი შეეძინა, ხოლო შენი მაგული უკვე ახალგაზრდა ბებია გახდა. როგორ მინდიდა, ამ დღეს შენც შესწრებოდი და დიდი პაპობის მადლი შეგეგრძნო. შენი მარიკას ბიჭები უკვე ვაჟკაცები არიან მაგრამ მათაც ახსოვხარ და გიხსენებენ თუ როგორი სიყვარულით შეჰხაროდი. ძალიან გვიჭირს უშენობა, სპარტაკ, ენატრები შენს შვილებს, შვილიშვილებს, ენატრებათ შენი ღიმილიანი, კეთილი სახის დანახვა და შენგან გამხნევება. არამარტო ჩვენ, შენ ხომ მთელს რაიონს უყვარდი, ჩემო სპარტაკ, წლები იმუშავე საგაადსახადო განყოფილებაში და ყველა გიცნობდა, როგორც ერთ-ერთ მცოდნე მუშაკს, კარგ ადამიანს. ამაყი ვარ, რომ არასოდეს არავისთან და არსად ჩაჭრილხარ, ყველა პატივს გცემდა და ყველასთან მართალი იყავი! გაგიჭირდა, ალბათ ისე ძალიან გაგიჭირდა ამ წუთისოფლიდან წასვლა, რომ ერთი წლის წინ, გული კვლავ გვატკინე და შენი საყვარელი ძმისშვილი რამაზი მოგვტაცე, რითაც კიდევ უფრო მეტი დაღი დაასვი შენს დიდ ოჯახს. რამაზი ხომ სრულიად ახალგაზრდა გამოგვაცალე ხელიდან, მოუშუშებელია თქვენი დაკარგვით გამოწვეული ჭრილობა, რომელიც რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტად გვტკივა და გვტანჯავს! სხვა აღარაფერი დამრჩენია გარდა იმისა, რომ მინდა გჯეროდეს და გაგამხნევო, შენს სახელს დავიწყება არ ელის, შენი სახელი შვილთაშვილებს გადაეცემა, ერთმანეთს მოუყვებიან, რომ არსებობდი შენ, სპარტაკ ცქიტიშვილი ერთი ალალი, გულმართალი და კეთილი კაცი! ნათელში იყავი, ჩემო სპარტაკ!

შენი მეუღლე ჟუჟუნა, და შვილები: მარიკა, მაგული და მადონა ცქიტიშვილები.

შვილები: ნათელა, ნოდარი შვილიშვილები: ხათუნა და ელენე იაკობიშვილები, შვილიშვილისშვილები: ნია და ილიკო შარვაძეები, რძლები: მანანა და თამუნა, და ცირა, მაზლი ზურაბი, რძალი მარო, დისშვილები: მარინა და ვასიკო სპანდერაშვილები, ნიკო ბეგიაშვილი, დისშვილისშვილი ნინო რამიშვილი, მაზლისშვილები ნანა და რამაზ იაკობიშვილები ოჯახებით იუწყებიან

ელენე იაკობიშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა დედოფლისწყაროში 8 ნოემბერს.

თინა გამხიტაშვილი, მაია და მარიკა მნათობიშვილები, გოჩა კობაიძე, მაია სიმონიძე, ნატო ახალაური, მარინა წიკლაური, ეთერ ანთაური, ხათუნა არაბული, ბესიკ წიკლაური და ავთანდილ იანვარაშვილი სამძიმარს უცხადებენ თამარ დავითურს მეუღლის

ზურაბ პაპუაშვილის

გარდაცვალების გამო.

ჯიუტი ბავშვები – როგორ გაუმკლავდეთ ამ „განსაცდელს“

ათჯერ ნათქვამიდან ერთიც არ ესმის, თქვენი ყვირილი მეზობლების სახლებში აღწევს, ყვირით, ჩხუბობთ და შეიძლება, ერთი-ორჯერ წამოარტყათ კიდეც. შემდეგ საკუთარი საქციელის გრცხვენიათ და თავად გრძნობთ თავს დამნაშავედ. რაც მთავარია, თქვენი ემოციები ხომ ამოაფრქვიეთ? ბრაზი ყვირილსა და რისხვას ამოაყოლეთ. ბავშვმა რა უნდა მოუხერხოს თავის უარყოფით ემოციებს, როგორ უნდა გამოხატოს? ეს მან ჯერ არ იცის და თუ ასწავლით, ჩათვალეთ, რომ თქვენს შვილს ფსიქოსომატური პრობლემები არასოდეს შეაწუხებს. თუმცა ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოავლენს სიბრაზეს... თანაც თქვენს მიმართ. სანამ ეს დღე დადგება, მანამ მიაჩვიეთ სიბრაზის გამოხატვის ალტერნატიულ ხერხებს: პრობლემაზე საუბარს, წესებისა და რეჟიმის პატივისცემას, ზღვარის დაცვას, დანაპირების შესრულებას. უნდა ესმოდეს, რომ მის “მინდას” მშობლები პტივს სცემენ, თუმცა არსებობს ცნება “შენ უნდა...”, რომელსაც პატივი თავად უნდა სცეს.

მარტივი წესები

არატყობთ, რომ თქვენ და თქვენი შვილი ბოლო დროს ვეღარ უგებთ ერთმანეთს? დაიმახსოვრეთ, არ სებობენ აბსოლუტურად გაუგონარი ბავშვები, არსებობენ მშობლები, რომლებსაც ახსნა არ ეხერხებათ.

ეცადეთ ბავშვის მიმართ თხოვნა სხვა ფორმით ჩამოაყალიბოთ. ერთი მარტივი მაგალითი ძალიან ეფექტურად მოქმედებს - ნაცვალსახელი “შენ” უნდა შეიცვალოს “მეთი”. ანუ ნაცვლად ფრაზისა “მორჩი ხმაურს და დამასვენე”, ეუბნებით: “როგორ დავიღალე, როგორ მჭირდება სიჩუმე და სიწყნარე”.

კარგად გაარკვიეთ პრიორიტეტები. რა უფრო მნიშვნელოვანია - დალაგებული სახლი თუ შვილთან ნორმალური ურთიერთობა. გარშემო მყოფთა აზრი და განწყობა, თუ შვილის ნდობა. თუ პირველ ვარიანტებს ირჩევთ, ბავშვს ყოველთვის დაატყდება თავს თქვენი უარყოფითი ემოციები.

გაითვალისწინეთ ასაკობრივი თავისებურებები - 2 წლის ბავშვს არ ემახსოვრება, რაც გუშინ მოითხოვეთ მისგან, 6 წლის ბავშვი კი ფიზიკურად ვერ იჯდება წყნარად 2 საათის განმავლობაში. თუ დედასთან ერთად ასჯერ არ აალაგა სათამაშოები, მარტო ამას თავს ვერ გაართმევს.

გათავისუფლდით კომპლექსებისგან - “ჩვენ იდეალური მშობლები ვართ და შვილებიც ყველაფერს გვიჯერებენ”. სულაც არ ხართ იდეალური და არც ის არის აუცილებელი, რომ ბავშვები უფროსებს ყველაფერს უგონებდნენ. თქვენს შვილებს ისეთი უყვარხართ, როგორიც ხართ.

დაგიჯერებთ თუ არა?

ხან დაგიჯერებთ, ხან - არა. ბავშვი, რომელიც მშობელს ყველაფერს უგონებს, ნამდვილი ნონსენსია. სამაგიეროდ, ნამდვილად შესაძლებელია და აუცილებელიცაა, რომ ელემენტარული წესები შეასრულებინოთ. თუმცა წესები უსაშველოდ ბევრი არ უნდა იყოს და რაც მთავარია, დედის გუნება-განწყობის მიხედვით არ უნდა იცვლებოდეს.

ბავშვის ახირებების იგნორირება ყველაზე მარტივია. მერე რა, რომ გულისწამღებად ღნავის და გაბრაზებული ისვრის სათამაშოებს. თქვენ ხომ უკვე თქვით ბოლო სიტყვა. ჰოდა, “იდექით” მაგ ბოლო სიტყვაზე.

აუცილებლად აგრძნობინეთ ბავშვს თავისი უზნეო ახირების შედეგი... არა, ქუჩაში მარტოს ნუ გაუშვებთ, სამაგიეროდ გაუშვით სკოლაში მოუმზადებელი. როცა შედეგს იწვნევს, მეორედ უფრო მონდომებით იმეცადინებს (თუ ისეთ წყალწაღებულ სკოლაში არ დადის, რომ მისი უცოდინრობა ვერც შენიშნონ).

ყოველთვის დაჟინებულ ტონს ნუ მოიშველიებთ. შეიძლება ბავშვი მართლაც გადაღლილი ან მოდუნებულია. თუ ატყობთ, რომ კბილების გამოხეხვა ძილის წინ ძალიან ეზარება, 5 წუთი დრო მიეცით, სხვა თემაზე გამოელაპარაკეთ, საუბარში აიყოლიეთ და შემდეგ ისევ შეახსენეთ.

ამ რჩევებს გროშის ფასიც არა აქვს, თუ საკუთარ შვილს ყურადღებას მოაკლებთ. მშობლის ყურადღება შეუცვლელია და ნუ დაუჯერებთ, თუ ვინმე საწინააღმდეგოს გიმტკიცებთ. თუ თქვენი და ბავშვის ურთიერთობა ჩიხში შევიდა, სიყვარულისა და სინაზის ზღვა მიუძღვენით. თავიდან შეიძლება უარესად გაკერპდეს, თითქოს ამოწმებს: “აბა, ასეთიც ვუყვარვარ? ასეთი ცუდიც?”. აი დარწმუნდა, რომ ასეა: “კარგი, რაც არის არის, გავახარებ დედას”...

თუმცა შეიძლება სულ სხვა რამ იფიქროს... რას გაუგებ ამ ბავშვებს, ისინი ხომ სიურპრიზებით აღსავსენი არიან.

ულოცავენ!

ზეიმი ყაჭაშვილს!

მეუღლე მიმოზა, **შვილები**: ილია, ეთერი, ია; **რძალი** მაია, **სიძე** გოჩა; **შვილიშვილები**: გიორგი, დავითი, ჯარვეჯი, დაჩი, ალექსანდრა, თედო, ელენე, ანასტასია დაბადების დღეს ულოცავენ ზეიმა ყაჭაშვილს. უსურვებენ მას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს მის მიერ მონაგრებულ ოჯახთან ერთად!

გაბრიელ და სოფიო ბენიაიძეებს

სამრეკლოს საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები წმ. სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის წინამძღვარს – დეკანოზ გაბრიელ ბენიაიძეს და მის მეუღლე სოფიოს ფულოცავთ მეორე შვილის – თომას დაბადებას. ვუსურვებთ პატარას დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ნათელ მომავალს. სასახელო მამულიშვილი გაზრდილიყოს.

სამრეკლოს ბაგა-ბაღის თანამშრომლები

თინიკო ბენაშვილს!
ლევან ძანაშვილს!

ჩვენი მამიდის მოსახელევ და მასავით პირმშვენიერო, ჩვენო საყვარელო თინიკო, გილოცავთ ოჯახის შექმნას. გისურვებთ შენს რჩეულთან ერთად იცოცხლო დიდხანს, იყოთ ჯანმრთელები, გამრავლდეთ და გაიხაროთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. გულწრფელად ვუერთდებით შენი მშობლების გივი ბენაშვილის და მანანა იაკობიშვილის, შენი ძმების გიასა და თემურის სიხარულს და გისურვებთ ნარმატებებს.

სიყვარულით,
ნაირა, ციხელო, გულნარა, სპარტაკი, ანგელინა, მანანა და თამილა გორაშვილები.

გაიღიმეთ

გურული პატრულმა გააჩერა
პატრული:
მოქალაქევ, თქვენ გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდით!
გურული ეუბნება: - რადარი მაჩვენეთ!
- რადარი არა მაქვს ბატონო!
უპასუხა პატრულმა.
- აბა ჩქარა რომ მოვდიოდი რაფერ მიხთი მანქანა იყო გაოფლილი?!
- გადაირია გურული

* * *

სასამართლოზე მოსამართლე ეუბნება მოწმეს:
მოქალაქევ, თქვენ უნდა ილაპარაკოთ მხოლოდ იმაზე რაც თქვენი თვალით დაინახეთ, გასაგებია?
- დიახ, ბატონო მოსამართლე!
- ძალიან კარგი, მიპასუხეთ, როდის დაიბადეთ?
- არ ვიცი, ბატონო მოსამართლე, არ დამინახავს.

მადლიერება

ამ წერილით მადლობა მინდა გადავუხადო დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ეს ბოლო პერიოდია, რაც სოფელს მზრუნველი ადამიანების ხელი დაეტყო. მირზაანში რეაბილიტაცია ჩაუტარდა გამგეობის შენობას, საბავშვო ბაღს, გაკეთდა გარე განათება, იგება ასფალტი. იმედი მაქვს, კიდევ ბევრი გაკეთდება. მირზაანელების სახელით მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს და სოფლის გამგებელს აკაკი თარაშვილს.

ნელი ბიკაშვილი

იყიდება!

იყიდება1200მ2 მიწის ფართობი სოფელ ხორნაბუჯის ტერიტორიაზე, მეგობრობის ქჩაზე, ახლადაშენებული სამრეცხაოს გვერდით.

577-41-72-25

იყიდება!

იყიდება კაპიტალური, ბელეტაჟზე სუფთა საცხოვრებელი სახლი, უზრუნველყოფილია წყლით, გაზით, ელექტროენერგიით. სახლს აქვს ბოსტანი 15 მეასედი. სანყისი ფასი 16 000 დოლარი.მისამართი: სოფელი ხორნაბუჯი, ქიზიყის II-ე შესახვევი N25. მსურველებმა დარეკეთ

593 79 56 59,
593 79 20 47.

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 10.11		სამშაბათი 11.11		ოთხშაბათი 12.11		ხუთშაბათი 13.11		პარასკევი 14.11		შაბათი 15.11		კვირა 16.11	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
8°	6°	8°	4°	7°	5°	7°	4°	6°	5°	6°	4°	6°	4°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K